სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №150

ქ. გორი 2020 წ.

ერთის მხრივ, **გორის მუნიციპალიტეტის მერია** (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მერის კონსტანტინე თავზარაშვილის სახით და მეორეს მხრივ **შპს „ჯიბე" ს/კ 206335223** (შემდგომში–მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის ლევან დავითაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის - **SMP200005237,** „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს **N13** ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის **2020 წლის 15 დეკემბრის N5157** განკარგულების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე,

1.ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანია: გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, ბურღულეული, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და თხილეულის (CPV03200000); მარილისა და სუფთა ნატრიუმის ქლორიდის (CPV14400000); ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, ხორცი და ხორცის პროდუქტების (CPV15100000); ცხოველური და მცენარეული ზეთები და ცხიმების (CPV15400000); რძის პროდუქტების (CPV15500000); დაფქული მარცვლეული პროდუქტები, სახამებელი და სახამებლის პროდუქტების (CPV15600000); სხვადასხვა საკვები პროდუქტების (CPV15800000); პირადი ჰიგიენის საშუალებების (CPV33700000) და ტყავის, ტექსტილის, რეზინის და პლასტმასის ნარჩენების (CPV19600000) შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

შესყიდვის საშუალებაა - გამარტივებული შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტი:

2.1. შესყიდვის ობიექტია: სხვადასხვა დასახელების საკვები პროდუქტების და პირადი ჰიგიენის საშუალებების შესყიდვა დანართი N1-ის შესაბამისად, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3.შესყიდვის ობიექტის რაოდენობა და საერთო ღირებულება.

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.2. შესყიდვის ობიექტის რაოდენობა და შესყიდვის ობიექტის ერთეულის ღირებულება **განისაზღვრება დანართი №1-ით.**

3.3 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა **95 920.00 (ოთხმოცდათხუთმეტი ათას ცხრაასოცი) ლარი**, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

4.შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1.მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2020 წლის 21 დეკემბრის ჩათვლით.**

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: **გორის მერიის ადმინისტრაციული შენობა, ქ. გორი გრ. ფერაძის №5;**

5.3 დანართით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტი თანაბრად უნდა იყოს განაწილებული **2 000 (ორი ათას) პაკეტად**.

5.4 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7.ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

7.3. **ანგარიშსწორება განხორციელდება** მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე და სხვა კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუმეტეს **10 (ათი)** სამუშაო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
8.1.შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
8.2.შემსყიდველს უფლება აქვს: განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
8.3.შემსყიდველი ვალდებულია:
დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;
8.4.მიმწოდებელს უფლება აქვს:
მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.5.მიმწოდებელი ვალდებულია:
დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას
9.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
9.3.ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4.ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
9.5.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02 % ის ოდენობით.
9.6 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს მოეთხოვება მიყენებული ზიანის პროპორციული ოდენობის ფარგლებში ზიანის ანაზღაურება, მაგრამ არანაკლებ ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ისა.

10.ხელშეკრულების მოქმედების ვადა
10.1.ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან **2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

11. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები
11.1.შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
11.2შესყიდვის ობიექტის ინსპექტირებას, მიღება/ჩაბარებას, შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს – **გორის მუნიციპალიტეტის მერიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი – მერაბ კასრაძე.**

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა
12.1.წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რა დროსაც დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.ფორს-მაჟორი
13.1.მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
13.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2.იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ურთიერთშორის მოლაპარაკებისას ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ხოლო მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ან სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14.3.შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4.გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1.ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე **PDF** ფაილის სახით, ხელმოწერილია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
_____	_____
გორის მუნიციპალიტეტის მერია	**შპს „ჯიბე“**
ს/კ 218086087	**ს/კ: 206335223**
მის: ქ. გორი, გ. ფერაძის #5	**მის: ქ. გორი, ცხ. გზატკეცილი**
სახელმწიფო ხაზინა	**ბანკი: სს „თიბისი ბანკი“**
კოდი: TRESGE22	**ბანკის კოდი: TBCBGE22**
ა/№ 300843460	**ა/ა GE83 TB7918 1360 2010 0002**
გორის მუნიციპალიტეტის მერი	**შპს „ჯიბე“-ს დირექტორი**
_____	_____
კონსტანტინე თავზარაშვილი	**ლევან დავითაძე**

დანართი N1

#	CPV	პროდუქტის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდ.	ერთ. ღირ. (ლარი)	ჯამი (ლარი)
1	15851100	მაკარონი (ნუზლი)	კგ	2000	2.05	4100
2	03211000	ვერმიშელი (ნუზლი)	კგ	2000	2.05	4100
3	03211300	ბრინჯი (ნუზლი)	კგ	2000	2.18	4360
4	15613380	შვრიის ფანტელი (სოლნიშკო)	კგ	2000	1.95	3900
5	15411210	ზეთი (კუბანსკი დარი)	ლიტრი	4000	4.95	19800
6	14420000	მარილი 1კგ. (შეფუთული)	ცალი	2000	0.55	1100
7	15431100	მარგარინი 0.500 კგ. (უსტამი)	ცალი	4000	2.97	11880
8	15131000	საქ. ხორცის კონს. 0.325 კგ. (ბაგატირსკაია)	ცალი	2000	3.10	6200
9	15612100	ფქვილი უმაღლესი ხარისხი (ნუზლი)	კგ	4000	1.85	7400
10	15842310	კარამელი (ბარამბო)	კგ	2000	4.40	8800
11	33761000	ტ/ქაღალდი (ასფურცელა)	ცალი	6000	0.52	3120
12	33711900	საპონი 0.150 კგ. (შიკი)	ცალი	2000	0.94	1880
13	03212100	კარტოფილი	კგ	10 000	0.90	9000
14	15842100	შოკოლადი წონის (მოდერნ თრეიდი)	კგ.	2000	4.80	9600
15	19640000	პოლიეთილენის პარკი	ცალი	4000	0.17	680
						95 920.00 ლარი